



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ანრი ოხანაშვილს

ასლი: საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს, გივი მიქანაძეს

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმისთვის მნიშვნელოვანია, 18 აგვისტოს საარჩევნო კოდექსის გადასინჯვასთან დაკავშირებული ჯგუფის პირველი სხდომის დაწყების პროცესი. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლობითი ჩართულობა ხელს შეუწყობს, როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე ჯგუფის ეფექტურ საქმიანობას. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა ევროკომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე. აღნიშნულის უზრუნველყოფა კი საქართველოს პარლამენტს ეკისრება.

მოგეხსენებათ, პლატფორმამ სამუშაო ჯგუფში წარადგინა ორი წევრი ორგანიზაცია. სამწუხაროდ, ერთ-ერთ მათგანს თქვენი მხრიდან უარი ეთქვა პროცესში ჩართულობაზე, და საჯაროდ დაფიქსირდა უარყოფითი პოზიცია.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი დამოკიდებულება წინააღმდეგობაში მოდის ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების მეათე საკითხთან და აბრკოლებს სამუშაო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვან, ინკლუზიურ ჩართულობას, ისევე როგორც აღრმავებს პოლარიზაციას, რისი დაძლევაც ასევე გახლავთ ევროკომისიის ერთ-ერთი საკვანძო რეკომენდაცია.

ვთვლით, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და თანამშრომლობის სურვილის მქონე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს უფლება, ჩაერთოს საპარლამენტო სამუშაო ჯგუფებში, ხოლო სამუშაო პროცესი, მიუხედავად შესაძლო აზრთა სხვადასხვაობისა, უნდა წარიმართოს კონსტრუქციულ და საქმიან ფორმატში. დაუშვებლად მიგვაჩნია, ნებისმიერი ჩართული მხარის მიერ პროცესის დაზიანება, რაც, უპირველეს ყოვლისა, უარყოფითად აისახება ქვეყნის ინტერესებზე.

ვფიქრობთ, საჭიროა, გაგრძელდეს კონსულტაციები აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმასთან, რომელიც ამ ეტაპზე აქტიურადაა ჩართული სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო სექტორის წარდგენით, რაც ამ ეტაპზე საკანონმდებლო ორგანოსა და სამოქალაქო სექტორის ეფექტურ თანამშრომლობად შეიძლება შეფასდეს.

კიდევ ერთხელ გვსურს გამოვთქვათ იმედი, რომ საქართველოს პარლამენტი მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროცესის მშვიდ და შედეგზე ორიენტირებულ გარემოში ჩატარებას, გამოიყენებს ყველა იმ ბერკეტს, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეების საქმიან კომუნიკაციას,

გაითვალისწინებს პლატფორმის პოზიციას, ხოლო პროცესის მეთი ინკლუზიურობისა და პლურალიზმისათვის გააფართოებს სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობას.

ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, გთავაზობთ, რომ საარჩევნო კოდექსის რეფორმირების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ პლატფორმის შემდეგი წევრი ორიგანიზაციები¹: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ და საზოგადოებრივი დამცველი.

მივიჩნევთ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს აქვთ მაღალი კვალიფიკაცია, ისინი გახლავთ ევროპის კავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეგიდით, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოქმედი ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) წევრები და წლების განმავლობაში ჩართულნი არაინ საარჩევნო პროცესებში.

იმისათვის, რომ შექმნილმა ვითარებამ არ შეაფერხოს მთლიანი პროცესი მოგმართავთ თხოვნით, გაიმართოს საკონსულტაციო შეხვედრა, რათა განვიხილოთ ყველა წარმოქმნილი გამოწვევა და შესაძლო გამოსავალი.

¹ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო“ საქმიანობის სპეციფიკა, რომლის ძირითადი პროფილია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არჩევნებზე დაკვირვება; „სამართლიანი არჩევნების“ საქმიანობა, რომლის ძირითადი პროფილია არჩევნები და ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორია; ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელიც ასევე კვალიფიციურია საარჩევნო საკითხებში და „საზოგადოებრივი დამცველი“, რომელიც სადამკვირვებლო მისიას ახორციელებდა კონფლიქტისპირა რეგიონებში.